

ჩვენი გუნდი ფინალშია!
გადამწყვეტ მატჩში – მერვედ

თბილისი. ვ.ი.ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 30 მაისი.

"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (კიევი) 2:1 (0:1).

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე (სულაქველიძე), დარასელია, ჭილაია, მინაშვილი, შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე (გუცაევი).

კიევი: რომენსკი, კონკოვი (კოლოტოვი), კაპლუნი, ჟურავლიოვი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი, ხაპსალისი, ბესონოვი, ევტუშენკო (ვერემეევი), ბლოხინი.

გაფრთხილებულია ხაპსალისი.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

ვიდრე სარეცენზიო მატჩის აღწერას შევუდგებოდეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მცირეოდენი სტატისტიკური მასალა მოვიშველიოთ: კიევის თანაკლუბელებთან თბილისის დინამოელებს საკავშირო თასის შეხვედრებში აშკარად დადებითი ბალანსი აქვთ (+4=1-1, ბურთების სხვაობა 11-5); ჩატარებული ექვსი შეხვედრიდან სამი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

და აი, 30 მაისი, კვლავ 2:1, კვლავ თბილისის "დინამოს" სასარგებლოდ!

მაგრამ სანამ ეს ციფრები გაჩნდებოდა თბილისის ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონის ტაბლოზე, უკომპრომისო ბრძოლის არც ერთი ეპიზოდი არ მოგვაგონებდა "განვლილის განმეორებას". პირიქით, მატჩი აღსავსე იყო მოულოდნელობებით, როგორც ეს ხშირად ხდება მაღალი კლასის გუნდების ორთაბრძოლებში. მოულოდნელი ჩანდა სტუმართა სათამაშო ტაქტიკაც. კიევის დინამოელებმა, როგორც ჩანს, უარი თქვეს ე.წ. "გასვლით მოდელზე" და წინა ხაზში ამჯერად სამი თავდამსხმელი – ბლოხინი, ხაპსალისი და ევტუშენკო გამოიყვანეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ფორვარდებს ხშირად მხარს უზამდნენ "შემტევი ნახევარმცველები ბესონოვი და ბურიაკი.

ამრიგად, სტუმრებმა ერთობ აქტიურად წარმართეს მატჩის პირველი ტაიმი. აღსანიშნავია, რომ ისინი კარგად იყენებდნენ ფლანგებს, კერძოდ შეტევის მარცხენა ფრთას, საიდანაც მოახერხეს ერთგვარი "დერეფნების" შექმნა, აქ კი შენაცვლებით გადიოდნენ ბლოხინი, ხაპსალისი...

რა დაუპირისპირეს თბილისელებმა მეტოქეს პირველ ნახევარში? წინ ორი თავდამსხმელი გვყავდა შენგელიასა და ჩელებაძის სახით, რომლებსაც ფხიზლად დარაჯობდნენ კაპლუნი და ჟურავლიოვი, რაც შეეხება ნახევარდცვის ხაზს, გუნდის კაპიტნის ყიფიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ცდილობდა გუნდის თამაშის აწყობას და პარტნიორებს მოქმედების მწვავე მომენტებს უქმნიდა. მაგრამ ჩვენი მოთამაშეები ერთობ ნელა გადიოდნენ მოედნის ცენტრს, რითაც საშუალებას აძლევდნენ მეტოქეებს დროულად დაწეულიყვნენ უკან. კარის მისადგომებთან ჩვენს მოთამაშეებს მუდამ მასირებული დაცვა ხვდებოდა. კიეველთა შეტევებს ბოლოსდაბოლოს მასპინძელთა კარის აღება მოჰყვა: ბლოხინმა მარცხენა მხრიდან დაბალი ბურთი ზუსტად ჩააწოდა საჯარიმოში, აქ წამით უყურადღებოდ დარჩა ევტუშენკო, რომელმაც ახლო მანძილიდან გაგზავნა იგი კარში – 1:0.

შესვენების შემდეგ თამაშის სურათი დიამეტრალურად შეიცვალა, იგი გაცილებით მწვავე და საინტერესო გახდა სანახაობრივადაც. მასპინძლები ახლა

მოედნის სრული ბატონ-პატრონი გახდნენ და ყველა რგოლში აშკარად დაჯაბნეს მეტოქე.

რით მიაღწიეს ამას თბილისელებმა? ტემპით, ტემპით, და... ისევ ტემპით. ყველა მოძრაობდა ყველა მზად იყო ბურთის მისაღებად, ყველა ცდილობდა პარტნიორის ბურთზე გაყვანას. რაც შეეხება კიეველთა გუნდს, აქ უკვე აღარ ჩანდა ადრინდელი ურთიერთმოქმედება, მოედნიდან თითქოს გაქრა გუნდის მთავარი გამთამამებია ბურიაკი. მას, რომ იტყვიან, სულის ამოთქმის საშუალებაც აღარ ჰქონდა. თბილისელთა იერიშების ტალღა ტალღას მისდევდა. ნერვიულობა დაეტყო მეკარე რომენსკის, რომელიც კარის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში იგერიებდა მასპინძელთა მიერ დარტყმულ ბურთებს.

ფეხბურთის ლოგიკურობა ნამდვილად გააჩნია და ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა გუშინდელმა მატჩმა.

...51-ე წუთი იწურებოდა. თბილისელთა ცენტრალურმა მცველმა ჩივაძემ ბურთი მიიღო სტუმართან საჯარიმო მოედნის მისადგომებთან და აქედანვე უძლიერესი დარტყმით გაგზავნა კარში. 1:1 – წონასწორობა აღსდგა. აქვე დარასელიას დარტყმას კარის ძელი იგერიებს. ათამაშდა სულაქველიძე, ძლიერად ურტყამს ჭილაია – მეკარე გაჭირვებით იგერიებს ბურთს კუთხურზე, სახიფათოდ უტევენ ჩელებადე, ყიფიანი...

მეორე ტაიმის დამთავრებამდე 10 წუთიღა რჩება, მინდორზე გუცაევი შემოდის, ჩვენი გუნდის იერიშებს სიმწვავე ემატება. რჩება 5 წუთი. ალბათ, მაინც დამატებითი დრო?... მაგრამ მარცხენა ფლანგზე გადასული გუცაევი მოულოდნელად შორიდან აწვდის ბურთს კიეველთა კარისკენ. მეკარე გამოდის წინ, ბურთს კი დარასელია ეუფლება და 2:1.

მასპინძლებმა მეტად ძნელი მაგრამ შთამბეჭდავი, და მართლაც, რომ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

გზა დავულოცოთ თბილისის "დინამოს" 9 აგვისტოს ფინალურ მატჩში.

ნ. ჩხატარაშვილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი; ო. ნოზაძე.
"ლელო", 31 მაისი, 1980 წ.